დაეხმარე შენს ძმას, როცა ის იქნება დაჩაგრული და მჩაგვრელი

ანას იბნ მალიქის (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემით, მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «დაეხმარე შენს ძმას, როცა ის იქნება დაჩაგრული და მჩაგვრელი». კაცმა ჰკითხა:" ო შუამავალო, თუ დაიჩაგრება დავიცავთ, მაგრამ თუ მჩაგვრელია, როგორ დავეხმაროთ მას?" თქვა: «აკრძალეთ და მოარიდეთ ის, რომ იყოს მჩაგვრელი, და ეს იქნება მისთვის დახმარება».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უბრძანა მუსლიმს, დაეხმაროს თავის მუსლიმ ძმას, იქნება ის მტყუანი თუ მართალი. მაშინ ერთმა კაცმა ჰკითხა: ო, ალლაჰის შუამავალო, თუ ის დაჩაგრულია, მე მას დავეხმარები უსამართლობისგან გათავისუფლებით. მაგრამ თუ ის თავად არის მჩაგვრელი, როგორ უნდა დავეხმარო მას? მოციქულმა უპასუხა: შეაჩერე იგი, ხელი მოკიდე, შეაკავე და არ მისცე უსამართლობის ჩადენის უფლება, და ეს იქნება მისი დახმარება ეშმაკისა და მისი ბოროტებისკენ მიდრეკილების წინააღმდეგ.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/4236